

სოციალური მეწარმეობა - ფინანსურად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სექტორი

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იკისრეს. მათი როლი ქვეყნის დემოკრატიის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში ძალიან დიდია. არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, ეს იქნება სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, თუ გარემოს დაცვითი კუთხით, წლებია მუშაობენ სხვადასხვა აქტუალური პრობლემების მოგვარებაზე. ამასთან, ისინი სახელმწიფო სისტემების კონტროლის სერიოზულ მექანიზმად იქცნენ. სექტორმა გაუძლო წლების მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რყევებს. უფრო მეტიც, საქართველოში ის დღემდე ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და სანდო რგოლია. ამ დადებითი ფაქტორების მიუხედავად, გარკვეული პრობლემები საზოგადოებრივ ორგანიზაციებშიც არსებობს. პირველ რიგში, ეს არის დამოკიდებულება დონორების ინტერესებსა და დაფინანსებაზე. ამის საპასუხოდ საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის გარკვეულმა ნაწილმა ფინანსური წყაროების გამრავალფეროვნებაზე დაიწყო ფიქრი.

რატომ არის საინტერესო სოციალური მეწარმეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის?

სოციალური მეწარმეობა ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ხარისხს ზრდის. ფაქტობრივად, დაფინანსების სიმწირის პირობებში ეს სექტორის გადარჩენის და გრძელვადიანი განვითარების საუკეთესო გზა ხდება. ამასთან, საკუთარ დაფინანსებაზე გადასვლა ორგანიზაციებს ეხმარება უფრო მეტად დარჩნენ მისიაზე ორიენტირებული და არ მოუწიოთ მიმართულებების მუდმივად ცვლა დონორთა ინტერესების შესაბამისად.

საქართველოში ამ მხრივ უკვე არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს და ერთ-ერთი მათგანია ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“. ორგანიზაცია ჯანდაცვის სექტორში არსებულ პრობლემებზე მუშაობს და ძირითადად ორიენტირებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა დახმარებასა და მათი უფლებების დაცვაზე. ცენტრს ყოველწლიურად 800-ამდე მოსარგებლე ჰყავს. ორგანიზაციამ საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით 2010 წლის ოქტომბერში სოციალური საწარმო „არბო“ დააარსა. საწარმოში ეკოლოგიურად სუფთა ხის სათამაშოები და საბავშვო ავეჯი მზადდება. საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მაქსიმალურადაა დაცული უსაფრთხოების სტანდარტები. პროდუქციის რეალიზაციის მიზნით კი ფონდი მოლაპარაკებებს ადგილობრივ მაღაზიებთან, დიდ სავაჭრო

ცენტრებსა და საბავშვო ბაღებთან აწარმოებს. მიღებული თანხით ცენტრი სხვადასხვა მცირე ბიუჯეტის პროექტების განხორციელებას გეგმავს. კერძოდ, მოგება გათვლილია გორში არსებული „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ საქმიანობის გასაგრძელებლად და ამასთან, ბავშვებსა და ოჯახზე ზრუნვის მიმართულებით სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული ცენტრის დახმარებით ამ სერვისებით წელიწადში 300 მოზარდი ისარგებლებს. ამასთან, ფონდმა სოციალური მეწარმეობის დაწყებით შექმნა რამდენიმე სამუშაო ადგილი და 1 ახალგაზრდა პრობაციონერი უკვე დაასაქმა.

საგულისხმოა, რომ სოციალური მეწარმეობის განვითარება უცხოეთშიც თავდაპირველად არამომგებიანმა ორგანიზაციებმა დაიწყეს. საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი, სადაც ეს სფერო ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოდან ხდება აქტუალური. ძალიან წარმატებული აღმოჩნდა ამ მიმართულებით ორგანიზაცია, „Housing Works“-ი. ცენტრი შიდსით დაავადებულთა მომსახურებაზე მუშაობს. უზრუნველყოფს უსახლკარო და დაბალი შემოსავლის მქონე აივ ინფიცირებულთა საცხოვრისს, ჯანდაცვას და მკურნალობას. თავდაპირველად მათ მხოლოდ 350 საცხოვრებელი ადგილი ჰქონდათ, დღეს კი 20 000 აივ ინფიცირებულს ეხმარებიან. ორგანიზაციამ საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოების მიზნით სოციალური მეწარმეობა დაიწყო. წლების განმავლობაში მან საქველმოქმედო მაღაზიების ქსელი, ლიტერატურული კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები შექმნა. 2008 წელს ორგანიზაციის ბიზნესის შემოსავლებმა 13 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მისი მთლიანი შემოსავლების 34%-ია. ამასთან წარმოებაში რამდენიმე ათეული ადამიანი დასაქმდა.

ჯერჯერობით საქართველოში სოციალური მეწარმეობის მასშტაბები ბევრად მცირეა. თუმცა, ეს სფერო ქვეყანაში ფეხს ახლა იკიდებს. შესაბამისად, მისი განვითარება, როგორც სამოქალაქო სექტორის, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებში შედის.

ჟურნალისტი სოფო ჯიაბე

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი